ფასი 1 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორგანო ს.ა.კ. (ბ) ცენტრ. და თბ. კომიტეტების და ს.ა.კ. ახალის ოლქის
ტრანსპორტის პარტიული კომიტეტის

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოსი 10—56, მთ. კორექტორის—8—21.

ორშაბათი, 1 ივნისი 1933 წ. № 124 (3680)

ოზურგეთის და სტალინისის რაიონის კოლმეურნეობებს წარმატებით გადმოაქვთ ბეზენჩუკელთა გამოცდილება

ბეზენჩუკელები სტალინისის დამკვრელ კოლმეურნეთა შეკრებაზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

სტალინისი. 20 მაისი. დილის ათი საათიდან რაიონის დამკვრელი კოლმეურნეები თავს იყრიდნენ აგარის შაქრის ქარხნის მუშათა კლუბში. სტალინისის კოლმეურნეთა რაიონუ ლი შეკრება. ბეზენჩუკელთა გამოჩენამ, კოლმეურნეთა შორის დიდი აღტაცება გამოიწვია. პირველ საათზე რაიკომის მდივანი ამხ. **კალმახელიძე** ხსნის შეკრებას. თავის შესავალ სიტყვაში ის ლაპარაკობს ბეზენჩუკელთა პრაქტიკულ გამოცდილე ბის გადმოტანის საფუძველზე მიღწე ულ წარმატებების შესახებ.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სტალინისის რაიკომისკომის თავმჯდომარე ამხ. **ცხოვრებაშვილი** საგანგებოდ მოწყობილ თესვის შედეგებისა და მოსავლის აღებისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ შეკრებას მიესალმენ დამკვრელი კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები, და დეპოს მუშები: **შუბითიძე, კაპანაძე, გეგელაშვილი, ლონდაძე, ლომჯანიძე; ჯავახელი, მესხიძე და სხვ.** გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ კოლმეურნეობების მოწვევების შესახებ და შეკრებას დიდ მნიშვნელობას მიაკუთვნებდენ. ჩვენ გადაწყვეტილებით მოვითხოვთ რაიონულ პარტორგანიზაციებისაგან ცენტრალური კომიტეტის ამ დავალების შესრულებას.

შეკრებამ გულდასმით მოისმინა ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა სიტყვები. დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ბროსკურინი** შეკრების უამბობს ბეზენჩუკის კოლმეურნეობების ჩამოყალიბების ისტორიას. აღფრთოვანებას იწვევს ბეზენჩუკელ კოლმეურნე ქალის ამხ. **არისტოვას** გამოსვლა. ის შეკრებას აცნობს ქალთა აქტიური მონაწილეობას ბეზენჩუკის კოლმეურნეობებში.

—აქაური ქალები არ ჩამოგვჩრჩებიან ჩვენ,—ამბობს ამხ. არისტოვა.— სტალინისის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა ერთსულოვანმა განწყობილებამ ჩვენ დაგვარწმუნა,რომ მათაც შეუძლიათ პრძოლა პოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის.

შეკრებას მიესალმენ ბეზენჩუკელ თა დელეგაციის სხვა წევრებიც.„**ჩვენ —აღნიშნავდენ ისინი—გადმოგეცით ჩვენი კოლმეურნეობების გამოცდილება, მაგრამ მრავალი გამოცდილება მიგვაქვს თქვენგანაც; ურთ-ერთ კავშირის განმტკიცებისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად ჩვენ უნდა მივაღწიოთ შემდეგ გამარჯვებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში**“.

—ამხანაგებო —განაცხადა შეკრებაზე ერთპიროვნულ მეურნე ილ. ივანიშვილმა—მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ კოლმეურნეობა ეს არის ნამდვილი გზა კულტურულ და ადამიანურ ცხოვრებისაკენ, **ამიტომ გადავწყვეტე ხვალვე შევიდე კოლმეურნეობაში**“ო. ეს სიტყვები დაიფარა ტუხარე ტაშით.

მეკრებამ კოლექტიული ვალდებულებების მიღების შემდეგ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ამხ სტალინს და ლ. ბერიას.

ა.პ.ნუცუბიძე.

ბეზენჩუკელები სტალინისის დამკვრელ კოლმეურნეთა შეკრებაზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

სტალინისი. 20 მაისი. დილის ათი საათიდან რაიონის დამკვრელი კოლმეურნეები თავს იყრიდნენ აგარის შაქრის ქარხნის მუშათა კლუბში. სტალინისის კოლმეურნეთა რაიონუ ლი შეკრება. ბეზენჩუკელთა გამოჩენამ, კოლმეურნეთა შორის დიდი აღტაცება გამოიწვია. პირველ საათზე რაიკომის მდივანი ამხ. **კალმახელიძე** ხსნის შეკრებას. თავის შესავალ სიტყვაში ის ლაპარაკობს ბეზენჩუკელთა პრაქტიკულ გამოცდილე ბის გადმოტანის საფუძველზე მიღწე ულ წარმატებების შესახებ.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სტალინისის რაიკომისკომის თავმჯდომარე ამხ. **ცხოვრებაშვილი** საგანგებოდ მოწყობილ თესვის, შეგროვებისა და მოსავლის აღებისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ შეკრებას მიესალმენ დამკვრელი კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები, და დეპოს მუშები: **შუბითიძე, კაპანაძე, გეგელაშვილი, ლონდაძე, ლომჯანიძე; ჯავახელი, მესხიძე და სხვ.** გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ კოლმეურნეობების მოწვევების შესახებ და შეკრებას დიდ მნიშვნელობას მიაკუთვნებდენ. ჩვენ გადაწყვეტილებით მოვითხოვთ რაიონულ პარტორგანიზაციებისაგან ცენტრალური კომიტეტის ამ დავალების შესრულებას.

შეკრებამ გულდასმით მოისმინა ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა სიტყვები. დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ბროსკურინი** შეკრების უამბობს ბეზენჩუკის კოლმეურნეობების ჩამოყალიბების ისტორიას. აღფრთოვანებას იწვევს ბეზენჩუკელ კოლმეურნე ქალის ამხ. **არისტოვას** გამოსვლა. ის შეკრებას აცნობს ქალთა აქტიური მონაწილეობას ბეზენჩუკის კოლმეურნეობებში.

—აქაური ქალები არ ჩამოგვჩრჩებიან ჩვენ,—ამბობს ამხ. არისტოვა.— სტალინისის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა ერთსულოვანმა განწყობილებამ ჩვენ დაგვარწმუნა,რომ მათაც შეუძლიათ პრძოლა პოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის.

შეკრებას მიესალმენ ბეზენჩუკელ თა დელეგაციის სხვა წევრებიც.„**ჩვენ —აღნიშნავდენ ისინი—გადმოგეცით ჩვენი კოლმეურნეობების გამოცდილება, მაგრამ მრავალი გამოცდილებები მიგვაქვს თქვენგანაც; ურთ-ერთ კავშირის განმტკიცებისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად ჩვენ უნდა მივაღწიოთ შემდეგ გამარჯვებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში**“.

—ამხანაგებო —განაცხადა შეკრებაზე ერთპიროვნულ მეურნე ილ. ივანიშვილმა—მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ კოლმეურნეობა ეს არის ნამდვილი გზა კულტურულ და ადამიანურ ცხოვრებისაკენ, **ამიტომ გადავწყვეტე ხვალვე შევიდე კოლმეურნეობაში**“ო. ეს სიტყვები დაიფარა ტუხარე ტაშით.

მეკრებამ კოლექტიული ვალდებულებების მიღების შემდეგ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ამხ სტალინს და ლ. ბერიას.

ა.პ.ნუცუბიძე.

ვსწავლობთ ბეზენჩუკელებისაგან

(ბრიგადირის წერილი)

რამოდენიმე თვის წინათ ჩვენი ბრიგადის კრებაზე დავამუშავეთ ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა პირველი წერილი ამხ. სტალინისადმი, დავამუშავეთ აგრეთვე მათი მეორე წერილიც. მეოთხე წელია, რაც მე კოლმეურნეობაში ვმუშაობ, მაგრამ წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ბევრი რამე გვკლებია საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობაში. ამ წერილების გულდასმით სწავლის შემდეგ გავიგე, თუ, როგორ უნდა ბრძოლა მოსაცალიანობის გადიდების, ქალთა შრომის გამოყენების და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა წერილის დამუშავებასთან დაკავშირებით ჩვენ ავიდეთ ვალდებულება, რომ ვადაზე დაგვემთავრებია შაქრის ჭარხლის თესვა და გაგვედიდებია მისი მოსავლიანობა.

ეს დაპირება ჩვენ პირნათლად შევასრულეთ. შაქრის ჭარხლის თესვა 38 ჰექტარის რაოდენობით — დავამთავრეთ 6 დღეში, ვადამდე ხუთი დღით ადრე. ნათესებში შევიტანეთ მინერალური სასუქი, პირველი თოხნა დავაშთავრეთ 13 მაისს, ე. ი. ვადამდე 2 დღით ადრე, ხოლო მეორე თოხნა — შეთხელების გეგმა 29 მაისისათვის შესრულებული გვქონდა 44,7 პროცენტით.

29 მაისს, ჩვენ ბრიგადას ესტაფანე ბეზენჩუკელი კოლმეურნეები: ილენდროვი, არისტოვა და პროსკურინი, რომლებიც დიდხანს გვესაუბრენ მათ გამოცდილებაზე. ჩვენც დაწვრილებით უამბეთ ყველაფერი.

— როგორია თქვენს ბრიგადაში შრომის დისციპლინა — შეჰკითხა პროსკურინი.

— ძალიან კარგათ. ვუთასუხე მე. მართალია უნდა გითხრათ ამასაში იგი არ მომიტყუებია. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ძალიან გაძლიერდა ჩვენს ბრიგადაში შრომის დისციპლინა. 18 კაცი და 28 ქალი, რომელიც გაერთიანებული ვართ № 2 ბრიგადაში სისტემატიურად გამოვდივართ სამუშაოზე. უმიზეზოთ გაცდენები სავსებით აღმოფხვრილია.

ეხლა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მუშაობის ხარისხს, რადგან ვიცით, რომ ამაზეა მთლიანად დამოკიდებული მოსავლის გადიდება. საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, როგორც მთლიანად ბრიგადა, ისე ცალკე ჯგუფები, ბეზენჩუკელების გამოცდილების საფუძველზე — ატარებენ ნამუშევრის ხარისხის თვითშემოწმებას. ვამოწმებთ აგრეთვე მაქრის ჭარხლის № 1 ბრიგადის მუშაობასაც, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გვყავს გამოწვეული. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ № 1 ბრიგადის შთაგონრი წეგრები ცუდად ამუშავებენ ნათესებს, რისთვისაც მათ ჩამოვართვით გარდამავალი დროშა. ეხლა მათ გაუმჯობესეს მუშაობის ხარისხი.

ჩვენს ბრიგადაში გამოდის ყოველდღიური საველე კედლის გაზეთი. შემოღებული გვაქვს აგრეთვე ბრიგადაში წითელი და შავი დაფა. ყოველივე ეს ძალიან მოიწონა ბეზენჩუკელ ამხანაგებმა.

— საუკეთესო ინიციატივაა. საკოლმეურნეო ბრიგადაში ჩვენ არ გვაქვს წითელი და შავი დაფა. არც საველე საბრიგადო კედლის გაზეთი გამოდის.—გვითხრა ამხ. ილენდროვმა და დახძინა, რომ ამ მხრივ ჩვენი ბრიგადის გამოცდილებას გადაიტანს ბეზენჩუკის კოლმეურნეობაში.

დიდი განსხვავება ყოფილა აგრეთვე საკოლმეურნეო ჯგუფების მოწყობაში. იქ თურმე ჯგუფებში გაერთიანებულია 15-16 კაცი. ჩვენთან კი — 5—7. ჩემი აზრით, ჩვენი კოლმეურნეობის პრაქტიკა უკეთესია. ჯგუფში 4—5 კაცი, ჩემი დაკვირვებით— მეტ შედეგს გამოიღებს, ვიდრე 15—16 კაცი.

ვასილ ბურჯიკელი.

სტალინისის რაიონი,
სოფ. წრომი.

შეხვედრა მინდორზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეობა მოუთმენლად მოელოდენ, ძვირფას სტუმრებს — ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა დელეგაციას. თვით დელეგატებიც იჩქაროდენ ოზურგეთისაკენ. 27 მაისს, დილის 10 საათზე ბეზენჩუკელები ეწვივნენ ოზურგეთის რაიონს. გულთბილი ამხანაგური საუბარი სადგურ ნატანებში ვაგონშივე გაიმართა, სადაც დელეგაციას შეეგებენ ოზურგეთის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სოც. ნატანების კოლმეურნეები.

ნატანების კოლმეურნეებს პირველად ვხვდი ბედნიერება „მასპინძლობა“ გაეწიათ ძვირფასი სტუმრებისათვის. ამ შემთხვევაში სტუმრებმა და დამხვედრებმაც დაარღვიეს ჩვეულებრივი ტრადიცია და მინდორიხაკენ აიღეს კურსი.

— პირდაპირ მინდორში წავიდეთ, სადაც ბრიგადები მუშაობენ — მოითხოვეს სტუმრები და მასპინძლებიც ეთანხმებიან. გადაეღვარათ მინდორში, რკინის გზის ლინდაჟის მარჯვენა მხარეზე (ბათომის მიმართულებით) ტრიალ მინდორში, სადაც 360 ჰექტარზე ნატანების კოლმეურნეობას გაშენებული აქვს ჩაის პლანტაციები.

ლრუბლიანი დღეა. ბრიგადები სამუშაოზეა გამოფენილი, მათ უკვე გაეგებ, რომ ბეზენჩუკელი დელეგატები მოდიან და უეჭრო მოუმატებს მუშაობის ტემპებს, რომ ამით თავი მოაწონონ სტუმრებს.

დაახ! შრომით აწონებენ ერთმანეთს თავს ადამიანები, რადგან ახლა სულ სხვაგვარად უყურებენ ისინი შრომას.

ნატანების კოლმეურნეობა რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა. ამიტომ ხვდა მას წილად ბედნიერება — გაეგზავნა დელეგატი დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე. ახლა აქაა და სტუმრებს თავს დასტრიალებს ამხ. **ბიოლ-გი ტაკიძე**, რომელიც თებერვალში დაიხვრა დამკვრელ — კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში.

ამხანაგური საუბარი ჩქარა გაცხოველდა. შეუმჩნევლად მივადექით **№ 1** ბრიგადას, რომელიც ჩაის მარგალიზე მუშაობს.

ბეზენჩუკელ დელეგატს, ამხ. პროსკურინს აინტერესებს ამ ბრიგადის მუშაობა, აძლევს შეკითხვებს როგორც ბრიგადირს, ისე ბრიგადის წევრებს. ეს უკანასკნელნიც სიამოვნებით უპასუხებენ ბეზენჩუკელ დელეგატების შეკითხვებზე და თავის მხრივ აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს. აი რა გამოირკვა **№ 1** ბრიგადასთან საუბრისას.

ბრიგადირი **არტემ თაბაძე**, ძველი გამოცდილი მუშაკია და თავისი საქმის ერთგული. 32 კაცია ამ ბრიგადაში, 9 რგოლად არის დაყოფილი მთელი ბრიგადა და მათ შორის 2 ქალთა რგოლია.

თავადის ბრიგადის მეზობლად, ჩაის ფოთლის კრეფაზე ქალთა რგოლი მუშაობს. აქეთ მოუწევს გული დელეგაციის წევრ ამხ. **ვერა არისტოვას.** ქალთა შრომის პირობები მას განსაკუთრებით აინტერესებს. ქალთა რგოლი ამხ. **ლუბა ჯაბუას** ხელმძღვანელობით მუშაობს. დამკვრელ კოლმეურნე ქალებიც აოთან ამ რგოლში. ასეთია მაგ.: **დესპინე ბოკუჩავა**, რომელიც სამაგალითო მუშაობისათვის დაჯილდოვდეს.

ბავშვთა ბაგა არა აქვს კოლმეურნეობას. ეს ძალიან უშლის ხელს ქალთა შრომის ნაყოფიერად გამოყენებას.

— როცა ქალებს ვეუბნები გამოდით საუშაოზე თქო — ისინი კითხულობენ — რა ვუყოთო, სად დავტოვოთ ბავშვები?— ამბობს კოლმეურნე ქალი ჯაბუა.

ამხ. არისტოვა უხსნის, თუ როგორაა ეს საქმე მოწყობილი მათ კოლმეურნეობაში:

— ჩვენთან ყველა კოლმეურნეობაში მოწყობილია ბავშვთა ბაგა, იქვე სტოვებენ დედები ბავშვებს და თვითონ დამშვიდებული მუშაობენ. წინად უძნელდებოდათ ბავშვების ბაგაში მიყვანა,—ახლა კი ჭალები იხვეწებიან, რომ მათი ბავშვები მივიღოთ ბაგაში და მათ კი სამუშაო მივცეთ.

სიტყვა ჩამოვარდა ავრო მამასახლისზე. თავის მეორე წერილში ამხ. **სტალინისადმი** ბეზენჩუკელი კოლმეურნეები წერენ: „თესვის გეგმის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენ ვაკეთებთ საქმეში მოკლეებს, რომლებიც ხელს უშლიან ნორმალური ნათესის მიღებას. ასეთ მოკლეებს ჩვენ ვხედავთ ავრო მამასახლისის მუშაობაში. ავრო მამასახლისი ჩვენთან სულ მიმდინარეობს, როგორც დამკვრელი, იგი რამდენჯერმე დაგვიკრიტიკებია. შემოსავლის განაწილების შემდეგ ეპიფანეს მოუწია 157 ფუთი სიმინდი და 470 მანეთი ფულად, ცხოვრებაში ეპიფანე გასული წლით. უფრო მეტს მიიღებს წელს. ახლა იგი მერვე ბრიგადაში მუშაობს. 70 შრომა-დღე უკვე გამომუშავებული აქვს ამ წელში.

— ახლა ჩვენთან სამუშაოზე დაბრუნება ვალაა საქირო. კოლმეურნე თითონ ეძებს სამუშაოს. ვინც პატიოსნად და ენერგიულად იმუშავებს, იგი გახდება შეძლებული, ეს მე ღრმად მწამს — ასეთია ეპიფანეს უკანასკნელი სიტყვები.

მართო ეპ. გოგიტაშვილი არაა ნატანების კოლმეურნეობაში მოწინავე. შეძლებულად გახდომის გზაზე შემდგარი კოლმეურნე კოზია სიხარულიძეც. გასულ წელს მან 889 შრომა-დღე გამოიმუშავა, 239 ფუთი სიმინდი მიიღო და 611 მანეთი ფულად. ასე მოდიან ჩვენი კოლმეურნეები წინ.

ამხ. პროსკურინი კოლმეურნეობის წლიურ საწარმოო გეგმას ეცნობა.

— გეგმა თვალისწინებს თითქმის ყველა საკითხებს, მაგრამ ერთი დიდი დეფექტი აქვს მას: არაა გამოანგარიშებული, თუ რამდენი შრომა-დღე სჭირია კოლმეურნეობას წლის განმავლობაში. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია საწარმოო გეგმისათვის — სამართლიანად შენიშნავს ამხ. პროსკურინი.

დღის 3 საათია. სტუმრები, რომლებიც ასე შინაურულად საუბრობდენ ნატანების კოლმეურნეობის მეგობრულად ეშვიდობებიან მათ და გამოსთქვამენ სურვილს წარმატებითი კავშირის დამყარების შესახებ. ნატანების კოლმეურნეები პირდებიან სტუმრებს, რომ აუცილებლად დაბრუნდენ ბეზენჩუკელ კოლმეურნეებთან მეკავშირეთ.

ამხანაგური სადილის შემდეგ, მასპინძლები აცილებენ სტუმრებს. ბეზენჩუკელი დელეგატები სოფ. გურიანთის კოლმეურნეობაში მიეშურებიან.

ნატანები, 27 მაისი.

თესვა საბჭოთა კავშირში 25 მაისისათვის

მოსკოვი, 30 მაისი. 25 მაისისათვის საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეთა სექტორში **დათესილი იყო—71.299 ათასი ჰექტარი**,—6,5 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე დროისათვის. **თესვის გეგმა შესრულებულია 75,1 პროცენტით.** კოლმეურნეობებმა თესვის გეგმა შეასრულეს—80 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 79,3 პროცენტით, ერთპიროვნულ მეურნეებმა დათესეს 9.867 ათასი ჰექტარი — გეგმის 54,4 პროცენტი.

შუა ვოლგის მხარეში თესვის გეგმა შეასრულა — 100 პროცენტით, ცენტრალურ შავმიწიანეთა ოლქმა — 72,5 პროცენტით, ქვემო ვოლგის მხარემ — 81,8 პროცენტით, ჩრდილოეთ კავკასიამ — 75,2 პროცენტით, ყირიმმა — 95,7 პროცენტით, ქვემო ციმბირმა—85 პროცენტით და უკრაინამ—75,5 პროცენტით (აღს).

ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა დელეგაციის წევრის—ამხ. პროსკურიანის საუბარი სტალინისის რაიონის კოლმეურნეებთან.

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება

ხ. ხ რ კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დადგინეს შემდეგნაირად იქნას გადმოცემული მე 2 მუხლი ხ. ხ. რ: კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილების „ხ. ხ. რ. კავშირის ფაბრიკებში სასამსახურო მივლინებათა შესახებ“:

„მივლინების დროს მივლინებული მუშაკს ყველა პირადი ხარჯების დასაფარავად, დაჩქარებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის, დაქირავების გარდა, მუშაკს ეძლევა დღიური მისი მატკიცე თვიური განაკვეთის 1-30-ის რაოდენობით, მაგრამ არა ნაკლებ 4 მანეთისა და არა უმეტეს 20 მანეთისა მივლინების თვითეული დღისათვის.

შენიშვნა: პირველი ზომლის შორეული ადგილებისათვის მიკუთვნებულ რაიონებში მივლინების დროს, დღიურის ზღრუდი ოდენობა დიდდება 25 მანეთამდე მივლინების თვითეული დღისათვის“.

დაწესდეს, რომ დღიურის ნორმის გადიდებამ არ უნდა გამოიწვიოს ამ ხარჯების საერთო ოდენობის გადიდება იმ თანხასთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებულია 1933 წლისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით.

ამხ. მოლოტოვის გამოსვლა

კურის საკითხზე შემდგარ საკავშირო თათბირზე

მოსკოვი, 30 მაისი. 29 მაისს პურის საკითხზე შემდგარი საკავშირო თათბირის ღილის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ამხ. მოლოტოვი.** ამხ. მოლოტოვის გამოჩენას ტრიბუნაზე ხანგრძლივი შუხარე ოვაციით ხვდებიან.

ამხ. მოლოტოვმა, რომელიც ყრილობას მიესალმა ს.კ. კ.პ. (ბ) ცეკას და ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს სახელით, ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით დაახასიათა პურის დამზადების მომავალი კამპანიის ამოცანები.

დელეგატები ფეხზე ამდგარი ესალმებიან ამხ. მოლოტოვს.

ამხ. მოლოტოვმა, რომელიც ყრილობას მიესალმა ს.კ. კ.პ. (ბ) ცეკას და ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს სახელით, ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით დაახასიათა პურის დამზადების მომავალი კამპანიის ამოცანები.

საგზაოების სასახლის პროექტის შესახებ

მოსკოვი, 30 მაისი. საბჭოების სასახლის პროექტის საბჭომ მიიღო ამხ. მ. ი. ოლტარის პროექტი საბჭოების სასახლის პროექტის საფუძვლად. გადაწყვეტილია საბჭოების სასახლის ზედა ნაწილი დამთავრდეს ლენინის ძეგლით. სულ სასახლის სიმაღლე იქნება 50—75 მეტრი.

იმ აღგარიშით, რომ საბჭოების სასახლე წარმოადგენდეს ერთგვარ კვარცხლბეკს ლენინის ფიგურისათვის.

ამხ. ოლტარს დაევალა განაგრძოს საბჭოების სასახლის პროექტის დამუშავება ამ გადაწყვეტილების საფუძველზე და ამასთან გათვალისწინოს სხვა არქიტექტორების პროექტთა საუკეთესო ნაწილები (აღს).



სესხის ენტუზიასტი, ნინოშვილია სახ. კოლმეურნეობის (სენაკის რაიონი) ბრიგადირი ქალი **აბრაშინა ქავთარაძე** — ხელი მოაწერა სესხზე 100 მანეთის ოდენობით.



ჯიკომბინატის ჭარხნის დამკვრელი მუშა ამხ გევორკოვი ხელი მოწერა 1,5 თვის ხელფასზე.

კასპის რაიონი გოლშევიკურად აძლიერებს სესხის რეალიზაციის კამპანიას სოფლად

როგორ გაიმარჯვა კასპის რაიონმა

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. **ლ. კალანდაძე** ამბობს — „კასპის რაიონის მშრომელი მოსახლეობა უდიდესი ენტუზიაზმით გამოეხმაურა ტულის პროლეტარების მოწოდებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ და სესხის რეალიზაციაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა. მუშა-მოსამსახურენი, კოლმეურნენი, ერთპიროვნული მშრომელი გლეხები — ყველა ჩაბმულია სესხის გავრცელებაში, მათ კარგათ იციან, რომ სესხი ხმარდება სოციალისტურ აღმშენებლობას, მათ იციან, რომ სესხი აძლიერებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სესხის გავრცელება ჩვენს რაიონში მიმდინარეობს წარმატებით“.

25 მაისისათვის მუშა-მოსამსახურეებს ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 170.000 მან. რაოდენობით (გეგმის 106,3 პროც.), კოლმეურნეებს — 136.000 მანეთის რაოდენობით (გეგმის 127,2 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეთა შორის განზრახულია გავრცელდეს 130.000 მან. ობლიგაცია. 25 მაისისათვის ერთპიროვნულ მეურნეთ უკვე შეძენილი ჰქონდათ 60.000 მან. ობლიგაცია. მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს და ივნისის შუა რიცხვებისათვის რაიონი დაამთავრებს სესხის რეალიზაციას.

სესხის რეალიზაციის საქმეში რაიონში თავიდანვე იღო ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები. სოფლად, კოლმეურნეობებში გაიშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. სესხის გავრცელების კამპანია დაუკავშირდა იმ მოღწევების პოპულიარიზაციას, რომლებიც აქვს საბჭოთა კავშირს მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

ახალი სესხის გავრცელებაში ფართოდ არის ჩაბმული რაიონის ყველა აქტიური ძალები. გამოყენებულია სოციალისტური შეჯიბრება, რამაც გამოიღო საუკეთესო შედეგები. ს. კასპის კოლმეურნეობამ პირველმა მოაწერა ხელი ახალ სესხზე და გამოიწვია შეჯიბრებაში რაიონის ყველა კოლმეურნეობები. აღსანიშნავია, რომ გამოწვევას ერთხმად გამოეხმაურენ ყველა კოლმეურნეობები უკლებლივ. კოლმეურნეობებში ხელის მოწერა ახალ სესხზე ტარდებოდა მინდვრად მუშაობის დროს. იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, იქვე, მინდვრათ, კოლმეურნენი, აწერდენ ხელს ახალ სესხზე, აცხადებდნენ, რომ ყოველივე დავალების ისინი შეასრულებენ გადაჭარბებით. ზემო ხანდაჟელმა კოლმეურნეებმა დაკერძოთი წესით ჩაატარეს პარჭლის პირველი გათოხვნა და ნათესების გაპატრვა. ზემო ხანდაკის კოლმეურნეობა არ ჩამორჩენ კაკრიხევის, ქვემო-ჯალის, სამთავისის, წითელ ჭალაქის და სხვა კოლმეურნეობები.

კოლმეურნენი ამჟამად აწარმოებენ მუშაობას ერთპიროვნულ მეურნეთა შორის. სოფლად გაგზავნილია ცემენტის ქარხნის მუშების ბრიგადები. ამოძრავებულია სკოლები, კულტურული დაწესებულებები, სოფლის საბჭოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის საბჭოების ენერგიული მუშაობა. საბჭოები ჩაუდგენ სათავეში სესხის გავრცელების საქმეს. ს. ხოვლეს ერთპიროვნულ მეურნეთა შორის სესხი უნდა გავრცელდეს 10.000 მანეთის რაოდენობით, დღისათვის გასაღებულია 7.000 მან. ობლიგაცია. ყარაღაჩის სოფლის საბჭოს წევრებმა მოაწერეს ხელი სესხზე 50 მან. რაოდენობით თვითეულმა და გამოიწვიეს შეჯიბრებაში სხვა საბჭოების წევრები.

კასპის რაიონი ბოლშევიკურად იბრძვის იმისათვის, რომ პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი პროლეტარული ქვეყნის წინაშე და შეიტანოს თავისი წვლილი სოციალისტურ აღშენებლობაში.

ე. ხ—ლი.

სესხის გავრცელება საქართველოში

პირველ ათდღიურში გავრცელებული იყო

1932 წელს	1933 წელს
„მე-4 დამამთავრებელი წლის სესხი“	„მეოთხე ხუთწლედის სესხი“
20.877.000 მან.	36.579.000 მან.

მუშა-მოსამსახურეთა შორის

18.645.000 მან.	30.827.000 მან.

შეუკავშირებელ მოსახლეობაში

1.914.000 მან.	3.904.000 მან.

კოლმეურნეთა შორის

318.000 მან.	1.765.000 მან.

ერთპიროვნულ მეურნეთა შორის

—	83.000 მან.

გაშლილია მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეებს შორის

კარალეთი, 30 მაისი. სოფ. კარალეთის (გორის რაიონი) მშრომელი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოეხმაურა ტულის მუშათა მოძართვას და საკავშირო მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ პარტკომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მასიური - პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე 30 მაისისათვის კარალეთის სოსაბჭოს გავრცელებული ჰქონდა მეორე ხუთწლედის სესხის 38.315 მანეთის ობლიგაციები. შესრულებული იყო გეგმის 107 პროც. მუშა-მოსამსახურეებს შესრულებული ჰქონდათ, გეგმის 137 პროც. ხოლო კოლმეურნეებს 123 პროც.

ერთპიროვნულ მეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი ახსნა-განმარტება და მიღებულია ზომები, რომ არც „ერთი მშრომელი არ დარჩეს უობლიგაციოთ“.

ქინქლაძე,
პოლოსოვი.

სესხის გავრცელების ტემპები უნდა გაძლიერდეს

ცაგერი, 30 მაისი. მეორე ხუთწლედის სესხის გავრცელება რაიონში არდამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 30 მაისისათვის რაიონის მუშა-მოსამსახურეებს შესრულებული ჰქონდა გეგმის 72 პროც. კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს შორის სესხის გავრცელების სახელმძღვანელოთ სოფლებში და კოლმეურნეობებში გაგზავნილია 20-მდე პასუხისმგებელი მუშაკი. სესხის გავრცელების სუსტად ხელმძღვანელობს რაი შემხანელი სალარო, რომელსაც დღემდე არა აქვს მოგზავნილი ხელმოწერის აღრიცხვა. კამპანიაში სუსტად მონაწილეობენ აგრეთვე პროფესიონალური კავშირები.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა აამოძრაოს ეს ორგანიზაციები და მასიური ახსნა-განმარტების გაშლით უზრუნველყოს სესხის გავრცელების გეგმის ვადაზე და გადაჭარბებით შესრულება.

ზუგდიდი მოწინავეთა რიგებში

ზუგდიდი, 26 მაისი. ზუგდიდის რაიონის მშრომელი მოსახლეობა უდიდესი ენტუზიაზმით გამოეხმაურა ტულის მუშათა მიმართვას და საკავშირო მთავრობის დადგენილებას მეორე ხუთწლედის სესხის გამოშვების შესახებ. მუშა - მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა ფართო მონაწილეობით და მასიური მუშაობის გაშლით, რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა სესხის გავრცელების გეგმა.

20 მაისისათვის მუშა - მოსამსახურეებს მოწერილი ჰქონდათ ხელი 525.000 მანეთზე, — გეგმის 106 პროც., კოლმეურნეებს — 24.000 მანეთზე, გეგმის 103 პროც. და შეუკავშირებელ მოსახლეობას 46.000 მანეთზე, გეგმის 102 პროც.

ხელის მოწერა გრძელდება ლოზუნგის — „არც ერთი მშრომელი, უობლიგაციოთ“ — ნიშნის ქვეშ.

რაიკომის მდივანი—გვასალია.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე — როგავა.

ჭიათურა-ქიმითურა-ალპაიძირი

ჭიათურის და ტყიბულის მაღაროელნი, აქტიურად ჩაებით მაღაროების საკავშირო კონკურსში

ტექნიკური კონფერენციის გადაწყვეტილებანი მთლიანად უნდა გატარდეს

(ჭიათურა, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჰექანიზაციის გატარების მხრივ № 36 მაღაროს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში პირველი ადგილი უჭირავს. აქ თითქმის ყველა სამუშაოები მექანიზებულია (მექანიზაცია გატარებულია დაახლოვებით 90 პროცენტით). ამავე დროს № 36 მაღაროს ზევრი სპეციფიური პირობა ახასიათებს. მაღარო მუშაობს უმთავრესად ჩვეულებრივ, გაურეცხავ მარგანეცის ამოღებაზე. მადნის მთელი მარაგის 80 პროცენტი ჩვეულებრივი მადანია, დანარჩენი 20 პროც. გასარეცხი.

მაშინ როდესაც სხვა მაღაროებში ერთი სახის მადანთან გვაქვს საქმე, აქ სამნაირი ფენა გვხვდება: ჩვეულებრივი მადნის, გასარეცხი მადნის და ფუქში ქანების. მადნის დახარისხება ხდება თვით მაღაროში. ეს მოითხოვს მნგრეველების და მენიჩეების მაღალ კვალიფიკაციას. მათ უნდა იცოდეს თვითეული ფენის თვისებები, უნდა შეეძლოთ მათი გარჩევა.

ამიტომ ხარისხისათვის ბრძოლას ჭიათურაში არსად ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც № 36 მაღაროში. მადნის ხარისხის გაუხეშობესება კი დამოკიდებულია მნგრეველების და მენიჩეების კვალიფიკაციაზე, მათ მიერ თავისი საქმის ტექნიკის ათვისებაზე.

სწორედ აქედან გამოდიოდა „კომუნისტი“-ს რედაქცია, როდესაც მან თავისი გამსვლელი ბრიგადის საშუალებით № 36 მაღაროში (მღვიმევის საწარმოო უბანი) ჩაატარა პირველი ტექნიკური კონფერენცია.

კონფერენცია ჩატარდა მიმდინარე წლის 27 აპრილს. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა. დრო საკმარისია იმისათვის, რომ მოვახდინოთ ტექნიკურ კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შემოწმება.

* * *

№ 36 მაღარო უკანასკნელი წლების განმავლობაში სისტემატიურად ვერ ასრულებს გეგმებს. გასული წლის საწარმოო დავალება მან 88 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენა გრძელდებოდა მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეშიც. იანვარ-აპრილის გეგმა მაღაროს შეასრულა 61 პროცენტით. 40.905 ტონა მარგანეცის ნაცვლად ამოღებული იქნა 24.939 ტონა; გარეცხვის გეგმა შესრულდა 56,3 პროცენტით. უნდა გარეცხულიყო 6.494 ტონა, გაირეცხა 3.657 ტონა.

მაისიდან იწყება გარდატეხა. მაისში გეგმით უნდა ამოღონეს 9.730 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ორ დეკადაში ამოღებულია 6.081 ტონა, თვიური გეგმა ორ დეკადაში შესრულებულია 72,1 პროცენტით. კიდევ უფრო დიდი მიღწევა აქვთ გარეცხვის საქმეში. მაისში გეგმით უნდა გაირეცხოს 514 ტონა (ქარხანაში ერთი ცვლა მუშაობს), ფაქტიურად გარეცხულია 631 ტონა, თვიური გეგმა ორ დეკადაში შესრულებულია 122,8 პროცენტით.

მაღარო-ქარხნის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ხელი შეუწყო ტექნიკურ კონფერენციის დადგენილებათა გატარებამ. **მაგრამ ყველა დადგენილებები არ არის განხორციელებული.** რაც მთავარია—დღემდე არ დაუწყია მუშაობა მნგრეველ-მენიჩეების **ტექნიკურ წრეს**, რომელსაც დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მადნის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ამით უნდა აიხსნას, რომ მადნის ხარისხი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუარესდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფოთში გაგზავნილი 2.000 ტონა მადანი, დაბალი ხარისხის გამო, არ გამოიდგა უცხოეთში გასაგზავნად. მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ მენიჩებ-მნგრეველების ახალ კადრში, რომელსაც ჯერ არ აქვს ათვისებული თავისი საქმის ტექნიკა. ამავე დროს არ არის მიღებული ზომები ამ კადრის აღსაზრდელად, მის მიერ ნგრევის და მადნის დახარისხების საქმის დასაუფლებლად.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან ძველი და ახალი მნგრეველის ნაყოფიერება, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ცნობები. მაშინ როდესაც ძველი მნგრეველები ერთი ორად აჭარბებენ დღიურ ნორმას, ახალი მნგრეველები სანახევროდაც ვერ ასრულებენ გეგმას. ძველმა მნგრეველმა **ვ. ყიფშიძემ** მაისის ორ დეკადაში გეგმას გადააჭარბა 531 ფუთით, **სევ. გაბრიჭიძემ**—502 ფუთით, **ტ. დეკანოსიძემ**—859 ფუთით, **მ. ქაშაყაშვილმა**—704 ფუთით. ამავე დროს იყო შემთხვევა, როდესაც **ხუთმა ხალმა მნგრეველმა ერთი ნორმა ძლივს შეასრულა.**

ეს მოწმობს, თუ რამდენად მწვავედ სდგას მაღაროში მნგრეველთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. № 36 მაღაროს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სწორედ აქეთკენ უნდა მიმართონ თავისი ყურადღება. მნგრეველთა ტექნიკური წრე ჩამოყალიბებული. საჭიროა მისი მუშაობის დაჩქარება და ყველა მნგრეველ-მენიჩების ჩაბმა ტექნიკის დაუფლების წრეებში.

ტექნიკური კონფერენციის დადგენილებით, № 36 მაღარო-ქარხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო ტეხპრომპანაგადის შემდეგი წრეები: **1) მნგრეველ-მენიჩე-მებიგეების, 2) მექანიზაციის, 3) ელექტრო-ენერგიის, 4) ტეხმინიმუმის, 5) გამდიდრების და 6) აფეთქების.**

ამჟამად მუშაობს ხუთი წრე: ტეხმინიმუმის—ორი წრე, აფეთქების, ელექტროენერგია - მექანიზაციის და გამდიდრების. ტეხმინიმუმის წრეები გამოშვება უკვე ორჯერ მოხდა. გამოშვება 40 კაცი. ამ დღეებში მოხდება აფეთქების წრის მსმენელთა გამოშვება. წრეებს ხელმძღვანელობენ ინჟენერ-ტექნიკოსები. ისინი ენერგიულად მუშაობენ, მაგრამ უსახსრობის გამო წრეებს არ შეუძლიათ ფართოდ გაშალონ მუშაობა (არ არის რვეულები, სახელმძღვანელოები), **ტრესტი კი თითქმის არაფრით დახმარებას არ უწევს მათ,** თუმცა სამესიო ტრესტთან არსებობს ტეხპრომპანაგადის განყოფილება.

ტექნიკურ კონფერენციაზე მრავალი საინტერესო საკითხი წამოიჭრა, ბევრი საქმიანი წინადადება იყო წამოყენებული. მაგალითად, ინჟ. **კაჟრაძემ** და **შარაშიძემ** დაამუშავეს წინადადება, რომლის მიხედვით მადნის ფენის გადაყელვა მაღაროში უნდა ხდებოდეს ყოველ ორცვლაში ერთხელ, ამჟამად კი ხდება ოთხ ცვლაში ერთხელ. ამით მიღწეული იქნება საყელვი მანქანის 100 პროც. დატვირთვა, რაც თითქმის ორჯერ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

დაწყებულია ცდები ამ წინადადების განსახორციელებლად. საყელავი მანქანის მუშაობის პერიოდი ოთხი ცვლიდან სამ ცვლამდე დავიდა, მაგრამ გადაყელილი სანგრევის ორ ცვლაში აწმენდა, როგორც ეს ამბ. კაჟარაძის და შარაშიძის წინადადებით არის გათვალისწინებული, ვერ მოხერხდა.

ამჟამად შემოსულია წინადადება—გადაყელვა ხდებოდეს არა ერთ მეტრ ზე, არამედ 0,80 მეტრზე, მაშინ მოცულობა სანგრევის ორ ცვლაში აწმენდა. ეს გაზრდის მარგანეცის ამოღებას 43 პროცენტით სათანადო ცდები უკვე დაწყებულია.

კონფერენციაზე შემოტანილი იყო წინადადება იმის შესახებ, რომ ფუჭი ქანებიდან ხდებოდეს კედლების ამოწნება. ეს ფუჭი ქანები დღემდე უსარგებლოდ იყრებოდა მაღაროში და კიდეც აფერხებდა მუშაობას, მისგან აშენებული კედლები კი გასწევს ბიგების მაგიერობას.

ეს წინადადება კარგახანია ცდის პროცესშია. წინასწარი შედეგების მიხედვით ის დადებითად უნდა გადაწყდეს.

უკვე გატარებულია ცხოვრებაში მნგრეველ **პარმენ ივანიშვილის** წინადადება გადეყველავ თავებზე ასფეთქებელი მასალის გამოყენების შესახებ.

კონფერენციამ მექანიკოს **ნიკიტენკოს** წინადადების საფუძველზე ბიღო გადაწყვეტილება, რომ დაჩქარებით გაყვანილ იქნეს რკინის გზა საკაბელო ონკანიდან მაღაროს პირამდე. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად უკვე შედგენილია რკინის გზის გაყვანის პროექტი, რაც საგარაუდო ხარჯთაღრიცხვით 15.000 მანეთს უნდა დაჯდეს. პროექტი გადაეგზავნა ტრესტს, მაგრამ იქიდან ჯერ პასუხი არ სჩანს.

ეშვს აგრეშეა, ტექნიკურმა კონფერენციამ ხელი შეუწყო მაღაროს მუშაობის გაორდაქნას. ესაა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეინარჩუნებული იქნეს მაისში მიღწეული გარდატეხა. ამისათვის საჭიროა არსებული მუშა-ხელის შენარჩუნება, სისტემატიური ზრუნვა მაღაროს მუშათა, პირველ რიგში მნგრეველ-მენიჩე - მებიგეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, საკეთილო მუშაობა გამოქვეყნება და მათი გამოცდილების გადაცემა ახალი მუშებისათვის. მნგრეველთა კადრის მოსამზადებლად არ კმარა მარტო ახალი მუშების ძველებზე მიმაგრება. ეს აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ამასთან პარალელურად ახალი მუშები მალიანად უნდა ჩავაბათ ტექნიკურ წრეებში და სისტემატიური მეცადინეობით ავამაღლოთ მათი ცოდნის დონე.

№ 36 მაღაროში სულ 12 ბრიგადაა. ყველა ისინი გადაყვანილია სანეფურნეო ანგარიშზე, მაგრამ ეფექტი ყველა ბრიგადებში ერთნაირი არ არის. მაგალითად, პირველ კვარტალში 12 ბრიგადიდან მხოლოდ ოთხმა მისცა წარმოების ეკონომია 2946 მანეთის ოდენობით, დანარჩენებს გადახარჯვა ჰქონდათ 4.156 მანეთი. აპრილში ხუთმა ბრიგადამ მიაღწია 559 მანეთის ეკონომიას, დანარჩენებმა გადახარჯეს 1299 მანეთი.

გადახარჯვის მიზეზი იგივეა, რაც მნგრეველების მიერ თავისი გეგმის შეუსრულებლობა. ე. ი. საკუთარი საქმის ტეხნიკის ათვისებლობა. გადახარჯვა ხდება უმთავრესად მებიგეების მიზეზით და გამოწვეულია მათი დაბალი კვალიფიკაციით. ისინი ბიგებს ვერ იყენებენ სათანადოთ, ხშირად უტყდებათ, გამტყდარი ბიგი უნდა გამოიცვალოს, ეს კი ზედმეტ ხარჯებს იწვევს. ამავე დროს კვალიფიკაციური მებიგეები ერთდაიმავე ბიგას რამდენიმეჯერ იყენებენ და ამით ზოგავენ თანხებს.

ესეც გადაჭრით აყენებს საკითხს მებიგეების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. აქაც ჩვენ ვხედებით ტეხნიკური წრეების მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

მაგრამ ტეხნიკის ათვისება შეუძლებელია, თუ არ მოისპო მუშათა დენადობა. „დენადობის დროს შეუძლებელია განხორციელებულ იქნეს ახალი ტეხნიკის, ახალი მექანიზმების რამდენადმე დამაკმაყოფილებლად ათვისება„,—ხათქვამია საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებაში დონბასის შესახებ. დენადობას კი № 36 მაღაროში ფართო ხასიათი ჰქონდა და ნაწილობრივ ეხლაც აქვს ადგილი. პირველ კვარტალში წარმოებიდან წავიდა 178 მუშა, მოვიდა კი 65.

ამჟამად მაღაროში მიაღწია მუშახელის გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. მაისში გეგმით უნდა მუშაობდეს 343 კაცი, ფაქტიურად ორ დეკადაში საშუალოდ მუშაობდა 337, გეგმის 98,3 პროც.

საჭიროა ამ მუშების წარმოებაზე მიმაგრება, მათში ფართო ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებით. პარტმასიური და პროფკავშირული მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს მაღაროში, — მართალია № 36 მაღაროს ჯერ არა ჰყავს თავისი იზოტოვი, მაგრამ იზოტოვის სტილის მომუშავეები იქ ბევრია. **მათი გამომჟღავნება, მათი გამოცდილების განზოგადება, მუშათა მთელი კადრის ტეხმინიმუმის და ტეხდაუფლების წრეებში ჩაბმა**—აი ამოცანა, რომლისთვისაც უნდა იბრძოლონ № 36 მაღაროს პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორ განიზაციებმა და ყველა მოწინავე მუშებმა.

ჭიათურა 27 მაისი.

შავი ქვანახშირი და ტიტონი

1 ივნისიდან იწყება მაღაროების, ბრძმედების და ფოლადმდნობ საამქროების საკავშირო კონკურსები. კონკურსების ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს ქვანახშირის და მეტალურგიული მრეწველობის მაღაროების და ფოლადმდნობ საამქროების საკავშირო კონკურსებს, რომლებიც გამოაკვეთა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა. „პრავდა“-სა და „ზაინდუსტრიალიზაციუ“-ს და მეტალურგიის და ქვანახშირის მრეწველობის მუშაობა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან, ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვთ მეორე ხუთწლედის პირველი წლის მთელი გეგმის ძლევამოსილად შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და სკ. კ. პ. (ბ) ცეკამ თვის 8 აპრილის და 21 მაისის დადგენილებებში დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, დონბასის ქვანახშირის, მრეწველობის ხელმძღვანელობის ძირფესვიანად გარდაქმნისათვის. ამ დადგენილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ უნდა იქნას მაღაროელი მუშების მთელი მასა.

ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლის გზით. გამოცხადებული კონკურსები ითვალისწინებენ შეჯიბრებას არა მარტო ცალკე ქარხნებსა და მაღაროებს შორის, არამედ აგრეთვე ცალკე აერიგადებს და უბნებს შორის, ცალკე ცვლებსა და მუშებს შორის. ყველა სამეურნეო მფლობელების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეტალურგიული ქარხნების და მაღაროების ამოცანაა გამოიყენონ კონკურსების ეს პირობები და ჩაიბან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეტალურგიის და ქვანახშირის მრეწველობის ყველა მუშაკნი, დარეკვილი ქარხნების დირექტორებით, მაღაროთა მმართველებით, საინჟენერო-ტეხნიკური მუშაკებით და გათავებული ბრძმედების და მარტენების, ბეხმერების და მაღაროების მუშებით.

დონბასის ქვანახშირის მრეწველობის საერთო ჩამორჩენასა და მეტალურგიული მრეწველობის მიერ გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად, არის მთელი რიგი მაღაროები, ბრძმედები და ფოლადმდნობი საამქროები, რომლებიც კარგად ახრულებენ თავის საწარმოო დავალებებს და გვიჩვენებენ ქვანახშირისა და ლითონისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშებს.

დონბასის საუკეთესო მაღარო-გორლოვკა № 1, რომელმაც მთელი დონეცკის ბასეინი „ილიჩი“ № 10, „გულუბოვკა“ № 32 (რომელსაც ამჟ. კარტაშევი ხელმძღვანელობს), კუზბასის საუკეთესო მაღარო „პიონერკა“ და სხვა თვიდან თვემდე მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას როგორც ქვანახშირის ამოღების რაოდენობის, ისე მისი ხარისხის მხრით, შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების მხრით.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე მოწინავე ბრძმედები და მარტენები, მთელი მეტალურგიული ქარხნებიც კი, როგორც მაგ., სტალინისკის ენპიეზესკის და ტაგანროგის ქარხნები, რომლებიც პატიოსნად ასრულებენ თავის მოვალეობას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

კონკურსების ამოცანაა ხელმისაწვდომი გახდეს დამკვრელების, მოწინავე მაღაროების და მეტალურგიულ საწარმოთა გამოცდილება ქვანახშირის მრეწველობის და მეტალურგიის ყველა მუშებისათვის. „დონბასის მოწინავე ადამიანებმა, მამაცებმა, ქვანახშირის გმირებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს მაღაროელთა დანარჩენი მასის გაყოლება. თქვენი ამოცანა, ამხანაგო დამკვრელნო, იმაში მდგომარეობს, რომ გადაიქცეთ ორგანიზატორებად და გაიყოლიოთ ყველა, ვინც ჩამორჩენაა“. ამბ. კაგანოვიჩის ეს სიტყვები, ნათქვამია დამკვრელ მაღაროელთა ყრილობაზე დონეცკის კონფერენციაზე, ერთნაირად ეხება მეტალურგიული მრეწველობის დამკვრელებსაც.

პირველმა ხუთწლედმა შეაჯარაცა ჩვენი მეტალურგია და ქვანახშირის მრეწველობა ყველაზე მოწინავე თანამედროვე ტეხნიკით. ავითვისოთ ეს მოწინავე ტეხნიკა, დავეუფლოთ ახალ მანქანებს—ასეთია პარტიის და მისი ბელადის ამბ. სტალინის მიერ დასმული უდიდესი ამოცანა, კომუნ. უნდა ვემოადგინოთ მიქანიზმებზე მომუშავე საუკეთესო მუშაკები, რომელნიც იცნობენ მანქანის წყობას, რომელთაც შეუძლიათ წერილობით სახელდახელო რემონტის გაკეთება, რომელნიც გადაჭრებებით ასრულებენ ნაყოფიერების ნორმებს, ცვლას აბარებენ მუშაობის შეურყვნელად, წვრთნიან ახალგაზრდა მუშებს და ინარჩუნებენ მათ საწარმოებში, გამარჯვების იმედი მომავალ კონკურსში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ მაღაროს, მხოლოდ იმ ბრძმედის თუ ფოლადმდნობ საამქროს, რომელიც წარმატებით ანხორციელებს ბრძოლას მოხეტიალეობის წინააღმდეგ, წამგლეჯებთან და წარმოების სხვა დეზორგანიზატორებთან და რომელნიც ინარჩუნებენ მუშა ხელს და ყოველთვიურად აქეზებენ დამკვრელურ შრომას.

კონკურსები ხელს შეუწყობენ ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის წარმატებით თავის-თავად, არამედ მთელი რიგი სხვა კოლეგები ჯაშუშებად. „ტაიმს“-ი სწერს: „ეხვი არ უნდა შეგეშაროს იმაში, რომ ტორნტონი დასუსტებულ იყო ფიზიკურადაც და მორალურადაც დაუსრულებელი დაკითვით, მუჭარით, დაპირებით და ამ ფსიქოლოგიურ მომენტში მისმა გამომძიებლებმა მისცეს მას ისეთი შეკითხვები, რომელზედაც იგი სრულიადაც არ ფიქრობდა“. ე. ი. ჯერ მას ეკითხებოდენ მაგნეტოს და ჭრილობის შესახებ, ხოლო შემდეგ, როცა ამ უმანკო ბავშვმა სავსებით ამოსწურა თავისი ნერვიული ძალა და იგი მუდამ ფიქრობდა მაგნეტოსის და ჭრილობის შესახებ, უცბად მას ჰკითხეს: „შემთხვეული თქვენ ჯაშუში ხომ არა ხართ?“ და ამ მომენტში უმანკო ბატონმა ტორტონმა დაპკრა უმანკოება და გულდასმით წვრილი შრიფტით დასწერა განცხადება თავისი ჯაშუშური მუშაობის შესახებ.

„ტაიმს“-ის განმარტების შეუძლია გამოიწვიოს მკითხველთა შორის აღშფოთება გერთიანებული სახელმწიფო პოლიტმაჰთ-მართველოს გამომძიებლის წინააღმდეგ და ღრმა თანაგრძნობა ტორტონის ტანჯვის გამო. ჩვენ პირდაპირ ვხედავთ ჩვენს წინ ქალაშველს, რომელიც სულ მომენტში ცრემლის გრძნობას. მაგრამ 10 სტრიქონის ქვემოდ იგივე „ტაიმს“-ი აღწერს უმანკო ქალწულს „მეტრო-ვიკკერსიდან“. ბატონ ტორნტონს შეუძლია 1500 ვოლტიანი ელექტრონის დენი, რომელიც მოჰკლავდა ყოველ ადამიანს. 18 საათი იგი უგრძნობლად იწვა. ორი დღის შემდეგ იგი კვლავ გამოცახადება სამუშაოზე“. და აი, ეს არა კაცი, არამედ ხარი, რომელსაც კლავენ 1500 ვოლტიანი ელექტრონით, ორი დღის დაპატიმრების შემდეგ, ამასთან იგი არც კი სჩივის, რომ მისი დაკითხვა სწარმოებდა 18 საათის განმავლობაში, ჰკარგავს გრძნობას, იბნევა, ჰკარგავს პატიოსნებას და საკუთარი ხელით სწერს ჩვენებას, რომელშიაც ბრალს სდებს თავის თანამემამულეებს ჯაშუშურ მუშაობაში.

„ტაიმს“-ის ცდა—გამოიწვიოს ცრემლები ენგლისის საზოგადოების თვალში, ამაოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ არა გვაქვს განზრახვა, დავსტატით არც ბატონ მონკგაუზის და არც ბატონ ტორნტონის პორტრეტები. თუ ჩვენ შეეადარებთ „ტაიმს“-ის მიერ გაგრცელებული ლეგენდები პროცესის სტენოგრაფიულ ანგარიშს, მხოლოდ იმიტომ, რომ „ტაიმს“-ის სიცრუე გვიჩვენებს, თუ როგორ ძნელია ამ გამოცდილ პოლიტიკურ ორგანოსთვის, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ბანზე ისროდა ყველა არსებულ საშუალებებს ბანზეს გასათბუნებლად, დაპატიმრის საბჭოთა სასამართლოს უსამართლობა და იპოვოს იმ პოლიტიკის ოდნავ მაინც გასამართლებელი-საბუთი, რომელსაც აწარმოებს ენგლისის მთავრობა, როცა იგი უსამართლოდ სთვლის საბჭოთა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მარგანეცის ტრესტმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა

ჭიათურა, 30 მაისი (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). მარგანეცის მრეწველობა კვლავ დიდი გარღვევით მუშაობს, მიუხედავად სკ. კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებისა მარგანეცის მრეწველობის შესახებ და ჭიათურის მაღაროელების, ბრძმედების და ფოლადმდნობ საამქროების საკავშირო კონკურსებში გამოცხადების მიუხედავად, ტრესტის ადმინისტრაციის ნაწილი ვერ ახერხებს ხელმძღვანელობას გაუწიოს ამ ორგანიზაციებს.

ტრესტის ხელმძღვანელობის ასეთი ნაკლოვანებების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტრესტის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა ორგანიზაციულად ჩაბმა მუშათა ფართო მასების ტრესტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

დღეს ამოუშვებდა ჩელიაბინსკის სატრაქტორო გიგანტი

ქარხანა ყოველწლიურად გაამოუშვებს 40.000 ტრაქტორს

საბჭ. კავშირმა 1-ლი ადგილი დაიჭირა მსოფლიო სატრაქტორო მრეწველობაში

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლებს

ჩელიაბინსკი, 30 მაისი. სატრაქტორო ქარხნის ამოუშავების დღისთვის მიღებულ იქნა ამხ. პოსტიშევის შემდეგი შინაარსის მისალმებელი დეპეშა.

„ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის დამკვრელ მშენებლებს, მონტიორებს, მუშებს, საინჟენერო-ტექნიკური და ადმინისტრატიულ პერსონალს, ბოლშევიკებს და კომკავშირელებს.

ორი სატრაქტორო გიგანტის სტალინგრადის და ხარკოვის გიგანტების შემდეგ, რომლებმაც უკვე აითვისეს წარმოების ახალი ტექნიკა, გამოსცეხედეს მტკიცე კვალიფიციური და კადრები და დაეუფლენ საპროექტო სიმძლავრეს, ამოუშავდა მე სამე გიგანტი — კიდევ უფრო მძლავრი სატრაქტორო გიგანტი — ჩელიაბინსკის ქარხანა, რომელიც დაამზადებს უფრო მძლავრ და ტექნიკურის მხრით უფრო რთულ მანქანებს.

გილოცავთ რა მშენებლობის წარმატებით დამთავრებას და ქარხნის ამოუშავებას, ვისურვებ, რომ ქარხნის მუშათა კოლექტივი, რაც შეიძლება მალე. დაეუფლოს წარმოების ტექნიკას, რომ მან აითვისოს საპროექტო სიმძლავრე და მალე მისცეს საკოლმეურნეო მინდვრებს მძლავრი ტრაქტორები უფრო მეტი რაოდენობით, რაც საჭიროა კოლექტიური მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

